საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01–08/58

05 ოქტომბერი 2012 წ. ქ. ბათუმი

2012-2013 სასწავლო წლისათვის რსუ-ს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის და მისაღები გამოცდების ორგანიზების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №134 დადგენილებით დამტკიცებული „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წესის“, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის სადოქტორო პროგრამებზე ადგილებზე დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის, დოქტორანტურაში მისაღები კონტინგენტისა და მისაღები გამოცდების თარიღების განსაზღვრის შესახებ“ შესახებ რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 სექტემბერი №161 დადგენილების, აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის, სრული პროფესორის გ. ფარცხალაძის 2012 წლის 04 ოქტომბრის №3335 მოხსენებითი ბარათის, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, ასოც. პროფესორ მ. ქორიძის 2012 წლის 04 ოქტომბრის №3336 მოხსენებითი ბარათის და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის, სრული პროფესორის ადამ მახარაძის 2012 წლის 04 ოქტომბრის №3337 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის მიღება გამოცხადდეს დოქტორანტურის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე: 1) აგროეკოლოგია, მცენარეთა დაცვა (აგროეკოლოგია - 2 ადგილი, მცენარეთა დაცვა - 2 ადგილი); 2) ბიოლოგია (ზოოლოგია-ზღვის ბიოლოგია - 2 ადგილი; მიკრობიოლოგია - 1 ადგილი); 3) სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა (2 ადგილი); 4) ბიზნესის ადმინისტრირება (ეკონომიკური პოლიტიკა - 1 ადგილი); 5) ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი (საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა - 1 ადგილი, დაზღვევა - 1 ადგილი); არქეოლოგია (2 ადგილი); ფიზიკა (3 ადგილი)

2. დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2012 წლის 05 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე:
ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის მართვის სამსახური, ოთახი №28. ტელ: 27 64, 57; 577 112015; 577 177918.

3. დოქტორანტობის კანდიდატმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:

ა) მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (და დანართის) ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4 და ელექტრონული ვერსია კომპაქტ-დისკზე;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის);

ე) დოქტორანტობის კანდიდატის სააპლიკაციო ფორმა (სპეციალური ფორმა; იხ. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე).

4. გასაუბრება სპეციალობაში და გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში შემდეგ მისამართზე: ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35;

ა) გასაუბრება სპეციალობაში ჩატარდეს 2012 წლის 22 ოქტომბერს №60, №61, №62, აუდიტორიებში (გასაუბრების დაწყების დრო - I ცვლა - 14^{00} საათი; II ცვლა - 16^{00} საათი).

- ✓ გასაუბრების შედეგები გამოცხადდეს დღის ბოლოს;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2012 წლის 23-24 ოქტომბერს, 10^{00} საათიდან 17^{00} საათამდე მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის მართვის სამსახურის მიერ;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა მოხდეს 2012 წლის 24 ოქტომბერს.

ბ) გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს 2012 წლის 25 ოქტომბერს, რსუ-ს ბიბლიოთეკაში. (გამოცდის დაწყების დრო 10^{00} საათი).

- ✓ გამოცდის შედეგები გამოცხადდეს დღის ბოლოს;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2012 წლის 26-27 ოქტომბერს, 10 საათიდან 17 საათამდე, მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის მართვის სამსახურის მიერ;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა მოხდეს 2012 წლის 29 ოქტომბერს.

5. გასაუბრებაზე/გამოცდაზე დასასწრებად კონკურსანტმა უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.

6. 2012 წლის 30 ოქტომბერს ფაკულტეტების დეკანებმა წარმოადგინონ იმ პირთა სია, რომლებმაც მოიპოვეს შესაბამისი ფაკულტეტების სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება, რის საფუძველზეც გამოიცეს უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი დოქტორანტობის კანდიდატების შესაბამის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ.

7. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს რსუ-ს ფაკულტეტებზე, მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის მართვის სამსახურთან და კანცელარიასთან თვალსაჩინო ადგილას არსებულ საინფორმაციო დაფებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რის უზრუნველყოფა დაევალოთ შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატებსა და საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე **ირაკლი ბარამიძე**